პროკურორის დისკრეცია ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

იოსებ ხუციშვილი

პროფესორი, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (ჯიუ)
ioseb.khutsishvili@giu.edu.ge
https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12127

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია დადგინდეს პროკურორის დისკრეციის მნიშვნელობა ქართულ სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში და მისი შესაძლო მომავალი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში. თანამედროვე მსოფლიოში არსებული სამართლებრივი სიახლეების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც ხელოვნურმა ინტელექტმა ნაწილობრივ შეითავსა პროკურორის როლი სისხლის სამართლის საქმეებში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაში, აღნიშნული საკითხის კვლევა აქტუალურია. ჩატარებული კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს შემდეგი: 1. პროკურორის დისკრეცია საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პრინციპია და მისი დარღვევა დაუშვებელია, რადგან გამოიწვევს პრობლემებს სამართლიანობისა და ლეგიტიმურობის თვალსაზრისით; 2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ჯერჯერობით არ ხდება ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში იმ დოზით, რომ საკითხის კვლევა დაგვიანებული იყოს, შესაბამისად, რაც უფრო ადრე დაიწყება ამ პერსპექტივის განხილვა იურიდიულ საზოგადოებაში, მით უფრო დიდია შანსი, რომ სწორი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული გარდაუვალი ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე საქართველოში; 3. პროკურორის დისკრეციის გადაცემა ხელოვნური ინტელექტისთვის დაუშვებელია და მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ დამატებითი რესურსის სახით, თუმცა იმ სავალდებულო დათქმით, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული რჩევები იქნება დასაბუთებული და განსაზღვრული იქნება კონკრეტული წყაროები, რომელთა ანალიზის შედეგად განისაზღვრა კონკრეტული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: პროკურორი, დისკრეცია, ტექნოლოგია

შესავალი

საქართველოში ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართლის სფეროშიც იქცა განხილვის საგნად, რასაც აქვს მიზეზები. მაგალითად, 2021 წლიდან საქართველოს პროკურატურამ გამოძიების პროცესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა დაიწყო. IBM I2 ანალიზის პროგრამა, ელექტრონული ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზისთვისაა განკუთვნილი და საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით დაინერგა. ევროკავშირში, აშშ-სა და კანადაში ფულის გათეთრების, კიბერდანაშაულის, თაღლითობისა და სხვა კომპლექსური ხასიათის

დანაშაულის გამოძიებაში დასახმარებლად დღეს უკვე აქტიურად იყენებენ IBM I2 -ს.[1] შესაბამისად, სტატიაში განხილული საკითხის კვლევა აქტუალურია და მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდება უახლოეს მომავალში, რაც ვიმედოვნებ ამ საკითხის კვლევით სხვა იურისტების სიღრმისეულ დაინტერესებასაც გამოიწვევს.

საინტერესოა ხელოვნური ინტელექტის მიერ რამდენად იქნება გათვალისწინებული როგორც საჯარო ინტერესები, ისე ადამიანური ფაქტორები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია პროკურორის მიერ, ამა თუ იმ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო ინსტიტუტის - განრიდების გამოყენებაც ხომ სწორედ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას უკავშირდება. მიმაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი არ უნდა იქცეს პროკურორის დისკრეციის ჩანაცვლების ინსტრუმენტად. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია, როგორც დამხმარე საშუალება, მექანიზმი, რომელიც გადაწყვეტილებების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. აუცილებელია ზუსტად გაიწეროს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოები. აღნიშნულმა შეზღუდვებმა უნდა უზრუნველყოს ბალანსი ადამიანის უფლებების დაცვასა და ტექნოლოგიურ განვითარებას შორის.

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს: სამეცნიერო ნაშრომების შესწავლა-დამუშავების, ლოგიკური და სისტემური კვლევის, შედარებით-სამართლებრივი, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები.

ძირითადი ნაწილი

2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ქართული სისხლის საპროცესო სამართალი კონტინენტური სამართლის ქვეყანათა სიიდან საერთო სამართლის ქვეყნების სიაში გადაიყვანა. აღნიშნული პირველ რიგში განპირობებული იყო იმით, რომ დამკვიდრდა შეჯიბრებითი პრინციპი და შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა პროკურორის უფლებამოსილებები. მათ შორის აღსანიშნავია პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება. პროკურორი დღეს სისხლის სამართლის პროცესის მთავარი ფიგურაა და იმ გაზრდილ უფლებამოსილებებთან ერთად, რაც მას მეტი პასუხისმგებლობაც დაეკისრა. არსებობს იურისტთა მოსაზრებების იმის თაობაზე, რომ პროკურორს დღეს აქვს განუსაზღვრელი უფლებამოსილებები და საჭიროა მათზე კონტროლის უფრო ეფექტური საშუალებები, როგორიც არის სასამართლოს კონტროლი, ვიდრე განსაზღვრულია სისხლის საპროცესო კანონმდებლობით. მოქმედი სსსკ-ის შესაბამისად, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ძირითადად საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, რის გამოც არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა აღნიშნულით ირღვეოდეს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ეს მსჯელობები ვითარდება იმ რეალობის ფონზე, რომ პროკურორი ყოველთვის ასაბუთებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არაერთი გარემოების მხედველობაში მიღებით, რითაც ცხადს ხდის იმ საფუძვლებს, რომლებმაც მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია. ახლა კი წარმოვიდგინოთ

[1] https://1tv.ge/news/generaluri-prokuroris-moadgile-saqartvelos-prokuraturam-gamodziebis-processhi-khelovnuri-inteleqtis-gamoyeneba-daiwyo/

სიტუაცია, როდესაც პროკურორის ნაცვლად გადაწყვეტილებებს მიიღებს ხელოვნური ინტელექტი. უამრავი პოტენციური პრობლემა შეიძლება დავინახოთ, რომლის წინაშეც, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართალწარმოება აღმოჩნდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია დასაბუთებულობის და მიღებული გადაწყვეტილების გამჭვირვალობის საკითხი, რომელთა სათანადო რეგულირების გარეშე გაქრება საზოგადოების ნდობა როგორც პროკურორის საქმიანობის, ისე ზოგადად პროკურატურის სისტემის მიმართ. აღნიშნული კი კარგ შედეგებს არც სახელმწიფოს მოუტანს. აქედან გამომდინარე მნიშნელოვანია, რომ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში პროკურორის დისკრეციის საკითხების კვლევას დაეთმოს სათანადო ყურადღება და თითოეული საკითხი სათანადო გულისხმიერებით იქნას შესწავლილი მანამ, სანამ ზოგიერთი სხვა ქვეყნის მსგავსად, სადაც უკვე წლებია პროკურორის ნაცვლად ხელოვნური ინტელექტი იღებს გადაწყვეტილებებს, ძალიან ბევრს სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიებთან დაკავშირებით, საქართველოც დადგება ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული საფრთხეების წინაშე.

ჩინელმა მკლევევრებმა ხელოვნური ინტელექტი (AI) შექმნეს, რომელსაც დანაშაულის იდენტიფიცირება და კრიმინალების წინააღმდეგ ბრალის წაყენება შეუძლია. AI შანხაის პუდონგის პროკურატურაში გამოცადეს, რომელიც ქვეყნის ყველაზე დიდი რაიონული პროკურატურაა. ალგორითმი უკვე არსებული AI ინსტრუმენტის გამოყენებით შეიშექმნა. მას System 206 ჰქვია და ჩინეთში მომუშავე პროკურორები აქამდეც იყენებდნენ. ახალ ხელოვნურ ინტელექტს კი შეუძლია დამნაშავის იდენტიფიცირება და ბრალის წაყენება რვა ყველაზე გავრცელებული დანაშაულის კუთხით. ესენია: საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული თაღლითობა, აზარტული თამაშები, მანქანის უპასუხისმგებლო მართვა, თავდასხმა, ოფიცრის ხელშეშლა, ქურდობა, თაღლითობა და პოლიტიკური წინააღმდეგობაც კი.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განსაზღვრულია პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში სისხლის სამართალწარმოების განხორციელების ძირითად და ფუნდამენტურ საფუძვლებს. სწორედ პრინციპები განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პროცესის მთლიან არსს, მის ძირითად მიმართულებებს და იმ ძირითად სტანდარტებს, რომლებიც ქმნიან თანამედროვე კანონმდებლობას. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავენ სისხლის საპროცესო სამართლებრივი საქმიანობის შინაარსს და პროცესის მონაწილეთა საქმიანობის ფარგლებს. მათი დაცვა აუცილებელია პროცესის მონაწილეთა მიერ, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პროცესი სამართლიანად, კანონიერად და ადამიანის უფლებები ეფექტურად იქნას დაცული. ასევე, იმისათვის, რომ ეფექტურად იქნას უზრუნველყოფილი როგორც კანონის უზენაესობა, ისე სამართლიანი სასამართლო, პროცესის მონაწილეთათვის (ბრალდებული, დაზარალებული და ა.შ). თუმცა, გარდა აუცილებლობისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლის მიერ განსაზღვრული პრინციპების დაცვა სავალდებულოა, როგორც სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოებისთვის, ისე პროცესის მონაწილეთათვის. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ პრინციპები დაირღვევა? თითოეული მათგანის დარღვევა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ეჭვქვეშ აყენებს

[2] ინტერნეტ სტატია: "შექმნეს ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც პროკურორის მოვალეობის შესრულება შეუძლია" (ლინკი იხ. ბიბლიოგრაფიაში).

პროცესის მონაწილეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობას, გამჭვირვალობას და კანონიერებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის ყველა ძირითადი პრინციპი განუხრელად შესრულდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი. [3]ამ საკანონმდებლო ჩანაწერის შესაბამისად: „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.“ გამომდინარე ამ ჩანაწერიდან, პრინციპის დონეზეა დაცული პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომ გადაწყვეტილება მიიღოს საკუთარი შეხედულებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის, ასევე საპროცესო შეთანხმების დადებისა და სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში მოცემული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.[4] თუმცა, 2026 წლის 28 თებერვალს აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა. [5]მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის პროკურორის დისკრეციისა და საჯარო ინტერესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მსჯელობისას ანალიზისთვის გამოყენება.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ფართო და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ქმნის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს. მითუმეტეს გაიზრდება ეს საფრთხე, თუ დისკრეციას ხელოვნურ ინტელექტს მივანიჭებთ სისხლის სამართალწარმოებაში. არასწორად მიღებულმა ანდა დაუსაბუთებელმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, ასევე გააჩინოს უნდობლობა საზოგადოებაში სახელმწიფოს მიმართ, რადგან პროკურატურა სწორედ სახელმწიფოს წარმოადგენს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდებოდეს გამჭვირვალე და თანმიმდევრული პროცესის საფუძველზე, რაც ხელოვნური ინტელექტის განვითარების და მუშაობის დღეს არსებულ პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია. დისკრეციის გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილებების განჭვრეტადობა. სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტა ხდება ე.წ. სრული ტესტის საფუძველზე (სრული ტესტი შედგება მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტისგან).

[3] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი (2026 წლის 10 მაისის მდგომარეობით);
[4] იხ.საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება № 181 „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“;
[5] იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2026 წლის 28 თებერვლის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

დევნის განხორციელების მიმართ საჯარო ინტერესის არსებობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იყოს: დანაშაულის სახე და სიმძიმე, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და მისი ბრალეულობის ხარისხი ჩადენილ დანაშაულში, სასჯელის მიზნები, დანაშაულის პრევენციის საკითხი, ასევე სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. ხელოვნური ინტელექტი დღეს არსებული მდგომარეობით ვერ უზრუნველყოფს ამ ყველა საკითხის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას და აუცილებელია პროკურორის ადამიანური რესურსი იქნეს გამოყენებული, რათა თავიდან ავიცილოთ ის პრობლემები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დადგება დღის წესრიგში. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დღეის მდგომარეობით დისკრეციის გამოყენება არ არის სასამართლოს კონტროლის ქვეშ. შესაბამისად, აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პროკურორის დისკრეცია ობიექტურობის, დასაბუთებულობისა და ლეგიტიმურობის პრინციპის მხედველობაში მიღებით იქნას მიღებული.

ყოველდღიურად არაერთ საქმეზე იწყება გამოძიება და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორი ხელმძღვანელობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რაც ხელს უწყობს სტიგმატიზაციის თავიდან აცილებას, სისხლის სამართლის სისტემის ეფექტურობას, რესურსების დაზოგვას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, რადგან ყოველი საქმე და თითოეული ბრალდებული ინდივიდუალურია და შეუძლებელია ერთი, დოგმატური მიდგომის გამოყენება. აუცილებელია, პროკურორმა საქმის ყველა გარემოება და ბრალდებულის პიროვნული მონაცემები დეტალურად შეისწავლოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს დანაშაულის პრევენციის, დაუსჯელობის სინდრომის არსებობის, სასჯელის გარდაუვლობის პრინციპებს. პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე ეყრდნობა შინაგან რწმენას. თუმცა, რას წარმოადგენს შინაგანი რწმენა? ეს არ ნიშნავს მხოლოდ პროკურორის პირადი შეხედულებების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებას. არამედ, შინაგანი რწმენა ყალიბდება საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით და ადამიანური გამოცდილების შეჯამების შედეგად.

საჯარო ინტერესის შეფასების პროცესში პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის კატეგორია და ბუნება, მისი ჩადენის ფორმა, გარემოებები, ადგილი, დრო და გამოყენებული საშუალებები, აგრეთვე ქმედების სუბიექტური მხარე. გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ინტერესსა და პოზიციას. დაზარალებულის ინტერესის შეფასებისას გასათვალისწინებელია მიყენებული ზიანის ხასიათი და სიმძიმე, ზიანის ანაზღაურების ფაქტი, დაზარალებულის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა ინდივიდუალური გარემოებები. პროკურორმა ასევე უნდა შეაფასოს კონკრეტული პირის ბრალეულობის ხარისხი დანაშაულის სხვა მონაწილეთა პასუხისმგებლობასთან მიმართებით. თანამონაწილეობის პირობებში, პირის მოტივისა და

ინდივიდუალური როლის გათვალისწინებით, შესაძლოა მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება. [6]

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელობა ენიჭება პირის წარსულსაც, მათ შორის ნასამართლობას, მის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ სახდელებსა და სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის არსებობას. ამასთან, შეფასებას საჭიროებს, რამდენჯერ და რა კატეგორიის დანაშაულისთვის იყო პირი გასამართლებული, აგრეთვე არსებობს თუ არა კავშირი ახალ და წარსულში ჩადენილ დანაშაულებს შორის. გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის თანამშრომლობის ხარისხი და მზადყოფნა გამოძიებასთან ურთიერთობისათვის. არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის აღიარებასაც, რაც გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების საკუთარ ბრალად ცნობას. ამასთან, აღიარება უნდა იყოს თავისუფალი ნების საფუძველზე გაკეთებული და ყოველგვარი იძულებისგან დაცლილი.[7]

საჯარო ინტერესის ტესტის ფარგლებში ასევე უნდა შეფასდეს დანაშაულის ჩამდენი პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, მათ შორის მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდში, პროფესიული თუ სოციალური სტატუსი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს, რის გამოც აღნიშნული გარემოება პროკურორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, განსაკუთრებით ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ქმედება შესაძლოა დაბალი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდებოდეს, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ გადაწყვეტილებამ შესაძლოა საზოგადოებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს და მსგავსი დანაშაულის ჩადენის წახალისების რისკი წარმოშვას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტობრივი თუ პოტენციური შედეგების შეფასებასაც, რაც საზოგადოებაში შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებამ. ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს, წარმოადგენს თუ არა დანაშაულის ჩამდენი პირი საფრთხეს საზოგადოებისთვის, მისი ცალკეული ჯგუფებისთვის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის. ამასთან, მხედველობაში მისაღებია საზოგადოებრივი ინტერესისა და საზოგადოებრივი აზრის ფაქტორიც.[8]

პროკურორმა უნდა განსაზღვროს, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შემთხვევაში რა სახისა და სიმძიმის სასჯელია მოსალოდნელი კონკრეტული პირის მიმართ. ამასთანავე, უნდა შეფასდეს, რამდენად მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან დროისა და რესურსების დახარჯვა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად

[6] ავტორთა კოლექტივი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,* გამომცემლობა „მერიდიანი", ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წ. გვ. 127-128

[7] ავტორთა კოლექტივი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,* გამომცემლობა „მერიდიანი", ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წ. გვ. 347-348

[8] ავტორთა კოლექტივი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,* გამომცემლობა „მერიდიანი", ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წ. გვ. 348-349

პრიორიტეტულია კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნისათვის რესურსების მიმართვა. თუმცა, გამოძიებაზე უკვე დახარჯული დრო და რესურსი დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტის განმსაზღვრელ გარემოებად.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, რომლებიც პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას უნდა მიიღოს, არ არის ამომწურავი. კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებების და დანაშაულის ჩამდენი პირის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა აბსოლუტურად სხვა ფაქტორი გახდეს პროკურორის გადაწყვეტილების განმსაზღვრელი. ამასთან, ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში ყველა ჩამოთვლილი ფაქტორის განხილვა არ არის საჭირო, რადგან მათი განხილვის საჭიროება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე.

ანგარიშის ფარგლებში შესწავლილ საჯარო უწყებებში ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების გამოყენების განსხვავებული პრაქტიკა, სპეციალური მარეგულირებელი მექანიზმებისა და რისკების შეფასებისა და დაზღვევის სისტემების არარსებობა, სახალხო დამცველის შეფასებით, ქმნის საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის უკონტროლო გამოყენების მნიშვნელოვან საფრთხეს. აღნიშნული რისკი განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ პირობებში, როდესაც თავად უწყებებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია მომწოდებელი ან/და შემქმნელი კომპანიების მიერ შექმნილი ხელოვნური ინტელექტის სისტემებიდან გამომდინარე შესაძლო საფრთხეების შესახებ. საფრთხეები კიდევ უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო შესყიდვების გზით შეძენილი ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების მიმართ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით სპეციალური მოთხოვნები პრაქტიკულად არ არის დადგენილი. ამგვარი არაერთგვაროვანი და არასათანადოდ რეგულირებული პრაქტიკის პირობებში მნიშვნელოვნად რთულდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შედეგად წარმოშობილი შედეგების ეფექტიანი სამართლებრივი მონიტორინგის განხორციელებაც.[9]

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართლის საპროცესო მართლმსაჯულებაში უდავოდ შექმნის ახალ შესაძლებლობებს - სწრაფი ანალიზის, მონაცემთა სწრაფი შეგროვების, შესაძლო რისკების სწრაფად განსაზღვრის მიმართულებით. თუმცა, მან არ უნდა ჩაანაცვლოს პროკურორის საქმიანობა და მისი არსებითი როლი სისხლის სამართლის პროცესში. მორალური თანაგრძნობა და ეთიკური პრინციპები, რომლებიც გააჩნია პროკურორს, როგორც ადამიანს აუცილებელია სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად და დისკრეციის გამოყენებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენს. ხელოვნური ინტელექტი უნდა იქცეს საჭირო და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად პროკურორის ხელში, რომელიც დაეხმარება მას სწრაფად და ეფექტურად მუშაობაში.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში "ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე ნეგატიური ზეგავლენის საფრთხე", თბილისი, 2025 წ.გვ.: 22

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სანამ პროკურორის დისკრეციაში ხელოვნური ინტელექტის რესურსს ჩავრთავთ აუცილებელია განისაზღვროს მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ფარგლების, მეთოდებისა და პასუხისმგებლობების შესახებ სწორედ ამ ჩარჩოებით დარეგულირდეს. ამავე დროს, აუცილებელია დამტკიცდეს გამჭვირვალობისა და დასაბუთების სავალდებულოობა. შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ის სისტემები, რომლებიც დაასაბუთებენ გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნური ინტელექტის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში დანერგვის პროცესში ჩართული იყვნენ არამხოლოდ პროკურორები, მოსამართლეები და ადვოკატები, ასევე ადამიანის უფლებათა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ასევე სამოქალაქო საზოგადოება. ბოლოს კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს გასაჩივრების შესაძლებლობა პროცესის მონაწილეთა მხრიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილებები უნდა იქნეს დასაბუთებული, სამართლებრივად ცხადი პირებისთვის, ვისაც აქვთ მათი გასაჩივრების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი არ არის ცალსახად დადებითი ან უარყოფითი მოვლენა, მისი ჩართვა უახლოეს მომავალში სისხლის სამართალწარმოებაშიც გარდაუვლად მიმაჩნია. აღნიშნული ცვლილება კი გარდამტეხ ცვლილებებს გამოიწვევს. თეორიტიკოს და პრაქტიკოს იურისტებს, არამხოლოდ სისხლის სამართლის მიმართულებით, არამედ ადამიანის უფლებათა სფეროს წარმომადგენლებს, სახელმწიფოსთან ერთად მოუწევთ სათანადო გულისხმიერებით მუშაობა, რათა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში ემსახურებოდეს არა მხოლოდ სისწრაფეს, არამედ სამართლიანობას და ადამიანის უფლებების დაცვას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2026 წლის 10 მაისის მდგომარეობით);
2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება № 181 *„სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“;*
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2026 წლის 28 თებერვლის ბრძანება *„სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;*

სამეცნიერო ლიტერატურა

4. ავტორთა კოლექტივი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,* გამომცემლობა „მერიდიანი“, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015 წ.
5. ავტორთა ჯგუფი, *საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი),* გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წ.
6. ბ. მეურმიშვილი, *სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე),* გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015

7. ბ. მეურმიშვილი, *პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი,* ჟ „სამართალი“, 2001, # 8
8. აბაშიძე გივი, *პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე),* საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“,თბილისი,2011 წელი.
9. აბაშიძე გივი, *სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ფუნქცია და მისი განხორციელება გამოძიების სტადიაზე,* თბილისი, 2018.

ანგარიშები და სხვა წყაროები

10. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში *“ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე ნეგატიური ზეგავლენის საფრთხე”,* თბილისი, 2025 წ.
11. https://1tv.ge/news/generaluri-prokuroris-moadgile-saqartvelos-prokuraturam-gamodziebis-processhi-khelovnuri-inteleqtis-gamoyeneba-daiwyo/
12. ინტერნეტ სტატია: **“შექმნეს ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც პროკურორის მოვალეობის შესრულება შეუძლია”** https://on.ge/story/96330-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1